ერთ დღეს ცეცხლის თავყანის მცემლებს დღესასწაული ჰქონდათ, მიიპატყეს ესტატე, როგორც სპარსი. მაგრამ იმან დაავგო მათი ეკრპთმსახურება და მკაცრათ აღიარა თავისი თავი ქრისტიანათ. სპარსელნი ცეცხლის მსახურანი ვაბრაზდენ და დაბეზდეს უსტამ მცხეთის ციხის თავს, როგორც ესტატე; აგრეთვე მასთან შეიდი სხვა ახალ-მონათლულნი, რომელთა შორის იყო ნეტარი სტეფანე მცხეთელიცა. ციხის თავმა ეს რეკაცა შეიპყრო და განგზავნა ტფილისს არეან-გუბნაპის მარზპანთან, რომელმაც დაატყვევა ისინი ციხეში და უქადად მათ მოკვლას. ამ რეკაცეში ორმა უარყყო ქრისტიანობა, დანარჩენები ციხეში მოკვდენ; ვადარჩენ მხოლოთ ესტატე და სტეფანე. ექნს თვის შემდეგ არეან-გუბნაპის გამოკვალეს და მის მაკვირებთ სპარსეთიდან მოვიდა ახალი მარზპანი ეგეან ბურზიმილი ტფილისს. როდესაც არეან-გუბნაპის მიიღოდა, შეკრბენ ქართლის წარჩინებული კაცები: სამუელ კათალიკოსი, გრიგოლ მამასახლისი, არწუშა პატიაში და სხვა მეფის წულეები, მივიდენ არეან-გუბნაპისთან და თხოვეს ესტატეს და სტეფანეს საპყრობილედ გამოიყენა. მან პატივისცა ქართლის წარჩინებულთ კაცებს და განათავისუფლა ესტატე და სტეფანე.


როცა ეგეან-ბურზიმილმა დაიჭირა ტფილისში მარზპანის ადგილი, მცხეთელ ცეცხლის მსახურთა კვლავ დასამინეს ესტატე და სტეფანე. ეგეან-ბურზიმილმა დიდი ტანჯვა და წვალეზა მოაყენა მათ. ბოლოს გამოიკითხა მათი ენაობა. წამოდგენ ასურეთის მთავარი, რომელნიც ახლდენ ეგეანს და

მოახსენეს: ჩვენ თვითონ ვიცნობთ სტეფანეს, ევ ჩენებურია და ქრისტიანი დედ-მამის შვილიაო და თხოვეს მარზაპანს მისი განტეგება. ხოლო ესტატე-ზე ვერა უთხრეს რა. ვეყანმა შეიწყნარა მათი თხოვნა და სტეფანე განათვისუფლა. ესტატე შეე-ვედრა საიდუმლოთ სტეფანეს: ვიცი, მე აქ მომკლა-ვენ და გთხოვ ჩემი გეგმი მიაბაროთ მიწას იმ ქა-ლაქში, სადაც განენიანოლეო. ვეყანმა მოაყვანია თა-ვის წინაშე ესტატე და დაპირდა დიდ სასუქარს, აღონდ უარი თქვი ქრისტიანობაზეო; მაგრამ ესტა-ტე უმტკიცებდა მარზაპანს ქრისტეს სარწმუნოების ქეშმარტებსას. მარზაპანი გარისხდა და დაატანჯვინა; მას მოპარეს თავი და წერი, სცეს ყვრიბალში, გაუზებრეტეს ცხვირი, დაადევს კისერზე მძიმე ჯა-ჭვი და ისე შეადგეს საპყრობილეში. ბოლოს, რო-ცა ასეთი წვალებითაც არ მოიქცა, მარზაპანმა ბრ-

ძანა თავი მოკვეთათ მისთვის და ტანი გადაეგდოთ ძალღების შესაქმნელათ. ტფილისის ქრისტიანებმა ღამით წიღეს წმინდა ესტატეს გეგმი მცხეთას სტე-ფანეს დახმარებთ და სამოელ ქათალოკოსმა დაა-კრძალენია იგი სვეტიცხოველის ტრაპეზს ქვეშ, სა-დაც დღემდე მარხია *).

გ. წარუყლი

*) ამ სტატეის წარუყბათ გეჟანდა „ქართლის ცხო-ვრება“, წმინდა ესტატე მკსეთელის ცხოვრება“, გასუ-შტის ასტორან და უსტანესის ისტორან „ქართულ სოჟქით დასტორებას დენის გრებაზე“, „მიწერ-მოწერ ქართლის დასტინსკობასის გუნიონანს (სეჟიონის) სოჟისის კათალიკოსთან, ანარამთან, უსტანესის, Addi-tion V, Brosset, რუჟულის კანონი, ასდით თარგმ-ნილი წმინდას მამის ჩვენის კეთიქსი“.




საფო სახელოეანი ბოეტი-ქალი საბემნეთისა

მსატკრობა კოამანისს



აფო იყო როგორც წარჩინებული პოეტი, აგრეთვე შეენიერებიათც განთქმული. ბეე-რჯელ ვემხდრა ის მხატვრობის საგნათ ძველს საბერძნეთში. ეს ქალი დაიბადა ლესბოს კუ-ნძულზე. მეშვიდე და მეექვსე საუკუნეს ქრ. წინათ ავებულს ნანგრევებს როცა განიხილვენ მეცნიერები, ხშირათ ხედებთ მათ კედლის მხატვრობაში საფოც დახატული, განსაკუთრებით მკირე აზიის ნახევარ, კუნძულის კიდებზე მდებარე ძველი საბერძნეთის ქალაქების ნანგრევებში. როგორც ეტყობა, ამ ქალს დიდი გავლენა ჰქონია იბეროს თავის თანამემამუ-ლეებზე. მისა სამიჯნურო ლექსები კაცის გულს ღრმათ არყვედენ. მას შემდეგ ქალი არ დაბა-დებულაო, რომ მისებრი მწვევი გრძობა გა-მოეთქვას. საბერძნეთში ამბათ არის დღემ-

დის დარჩენილი, რომ საფოს შეყვარებია ერთი ეინზე შეენიერი ახლგაზდა ფიანი. იმდ-ნათ დატარებულა ამ სიყვარულით და ფიანის გარე-წრობით, რომ ბოლოს შინაკანი გულის მქმუნეარე-ბა ეეღარ დაუღლეია საყვარლის მუჟანათობის გა-მა და ლეეკადის კლადან გადაეარდილა ზღვაში. საკირეველია, რომ ამ სამწუხარა შემთაეეეას დიდი თანაგრძნობა გამოუწეეეა ჩენი დროის ეერობის მხატვრობისა და მწერლობის გულში. წარჩინებუ-ლმა გერმანიის დრამატურგმა გრილბარცერმა ერთ თავის თხუშულებლის საგნათ აიღო შეენიერა საფო. აქ გადმარეებული ნახატა ამტკიცებს, რომ მხატვარს, პ. კოამანს, თვალწინ დგამია პოეტი ქალი იმ დროისა, როცა იგი აპირებს ზღვაში გადაეარდნას. საფო ნელნელა უახლოედება ზღვის კიდეს და შორის გადაშლილი ზღვის სარკე თითქოს უნებლიეთ ევატიეება თავის უფსკრულშია უბედურს შეყვარე-ბულს, რომ იქ სიცოცხლესთან ერთათ დანთქას საყვარლისადმი კეჟანა.



ორიენტალისცთა მე-X საერთაშორისო კონერესი

ქ. ეენევაში

შეძლევა *)



ატონ ხახანაშვილ-ის მოხსენებას შემდეგ ფრად საყურადღებოა მოხსენება წაიკითხა ბოსნიია-ბერკოგოეინის გუბერნატორმა ჰორო-

ეინმა ამ სათაურით: „ისლამის გავლენა ბოსნიის ქრისტიან ხალხებზე“ (L'influence de l'islam sur les populations chretiennes en Bosnie). ბ-ნ ჰო-როეიჩი შეეხო ერთ სეგთო საჭირ-ბაროტო კითხვას: რა ნიადაგზე შეიძლება ერთობის დამყარება ერთ და იმაეერის ქრისტიანთა და მამადიან ნაწილთა შო-რის? ამით ეს მოხსენება შეიძლება ჩათვალოს ბ-ნ ხახანაშვილის მოხსენების გვარძელებათ. აი, ში-ნარის:

*) იხილე გვლი № 48

საშუალო საუკუნეებში ბოსნიაში ფეხი მოიკიდა და ვაძლიერდა „ბოგომილთა“ (ღვთის-მოყვარეთა) სექტამ. პაპის და მეფეთა მიერ ყოველივე ღონისძიება იქნა მიღებული ამის გასანადგურებლათ. ბრძოლაში გავლო მან დიდი ღირა და ბოლოს ისე მინელდა, რომ ეგონათ, მოისპოვა. მე-XV საუკ. ოსმალები გადმოვიდნენ მცირე აზიიდან და დიკიორეს ბიზანტიის დედა-ქალაქი კოსტანტინოპოლი. ახლა ჯერო მიდგა მოსახლეობა სლავიანთა ხალხებზე. ცოტა ხნის განმავლობაში ესენიც ჩაეარდნენ ოსმალთა მფლობელობას ქვეშ. ამით შორის ბოსნიაც, როგორც ახალი წყაროებით მტკიცდება, ოსმალები ბოსნიაში „ბოგომილებს“ შეუყვანიათ და მათ ბატონობას ხელს უწყობდნენ, იმ იმედით, რომ პაპის კათოლიკე მეფეთა დევნას თავს დაუდარდნენ და ჩვენს სარწმუნოებებს თავისუფლათ აღვიარებთო. როგორც ვიცით, ოსმალები ფეოდალური წყობილება და ბატონ-ყმობა არ ჰქონებიათ. ყოჩანის ბძანებით ყველა მართლ-მორწმუნეს (მაჰაჯას) ერთი და იგივე უფლება-უპირატესობა აქვს, ალახის ქვეყნის წარმომადგენლის სულთანის წინაშე თანასწორნი არიან. აი, ეს დედა-აზრი შემოიტანეს ოსმალებმა სლავიანთა ქვეყნებში. ამისათვის აქ აწაურობა სრულიათ მოსპობა და დღეს მაგ. ბოსნიაში ამ წოდების კვალიც არ ჩანს. ოსმალთა შემოსელებამდ ბოსნიაში, როგორც სხვაგან, ფეოდალური წყობილება მეფობდა. ბევრი ისტორიკოსი ამბობს, ვითომ ბატონ-ყმობა ბოსნიაში ოსმალთა შემოსევას შემდეგ დამყარებულიყო, მაგრამ ეს მოკლებულია ყოველსავე სიმართლეს. წინააღმდეგ ამისა, როცა ოსმალები შემოვიდნენ, ფეოდალთა და მათი ყმების ძლიერი ორგანიზაცია დაუბედა. ხალხი ისე ყავდათ ჩაქვრილი ამ თავ-გასულ აწაურებებს, რომ ნამდვილ მონურ დემოკრატიას წარმოადგენდა. მებატონებები არავის ცნობდნენ უფროსათ, მათი მოქმედება ძალადობაზე იყო დაფუძნებული, და მეფეთა გავლენას მუდამ ებრძოდნენ. ოსმალების მთავრობამ კი მოითხოვა მათი სრული მოხრჩობა, ამისათვის სხვა-და-სხვა რეფორმები შეიტანა ბოსნიაში. სულთანმა გამოაცხადა: გულში, რომელიც ისლამს იწამებს, განთავისუფლებულია ბატონ-ყმობისაგან და სულთანის საფარველ ქვეშ იმყოფებაო. ამას წინააღმდეგ აწაურობა და გაიმართა დაუსრულებელი ბრძოლა. აწაურებებს ებრძოდნენ ერთი მხით ოსმალები, მეორე მხრით მათი გამამაღიანებელი ყმები, ბოლოს ისინი და მარცხდნენ და ახალი წყობილება ძალაში შევიდა. ბევრი აწაური ჰქრცოვოვინა მან გაიქცა იქ, სადაც დღემდის შერჩენიათ უპირატესობა.

ამ ყმათ ბოსნიაში 700,000 გამამაღიანებელი სლავიანები ცხოვრებენ. თუმცა ავსტრიასთან შე-

მოერთებას შემდეგ ოსმალეთში გადასახლება დიწვეს, მაგრამ ამათი რიცხვი ძლიერ ცოტაა, სათქმელადაც არ ღირს (სულ 40,000). ახლა კი გადასახლებაზე აღარააინ ფიქრობს. ჩვენი ყოველივე ძალა მიმართულია იმისკენ, რომ ისინი არ დავეშვოდნენ და საშუადამოთ არ გაშვოდნენ სამშობლოს. იმათ ზნე ჩვეულებას ძალათ არ ვამტკიცებთ, ზიზლით არ ვუყურებთ. პირ-იქით ჩვენ მხოლოთ ვესმარებთ მათ და ვუკეთებთ, რაც მათ ჰსურთ. მთავრობა უმართავს მათებურ სკოლებს, უყენებს მათსავე მსაჯულებს და სხ. იმათთვის დაარსებულია უმაღლესი სასწავლებლები, საიდანაც გამოიღან მსაჯულთ-ყოფენი. ამათ შესწავილი აქეთ იურისპრუდენცია და სხვა საკირო საგნები, იშვიათათ ნახათ მრავალ ცოლიანს ბოსნიელი მამაღიანის აზრით გაყიდვა არ შეიძლება თავის სულის, ცოლის და საკუთარი მიწის. ასე მოუვიათ ჩემთვის, როცა მიწა-ადგილების გამო მქონდა მათთან საქმეები. ეს სლავიანთა ძველი შეხედულებაა, რაიც ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ისლამს მათზე ღრმა გავლენა არ ჰქონებია. ახალ სარწმუნოებას მათში არ ჩაუქვრია სლავიანური ტრადიცია და დედა-აზრი (l'esprit national). ჩვენ გვესურს ეს საძირკველი არ დაინგრეს და ამაზე აშენდეს ჩვენი მათთან შეერთება. არ იფიქროთ, რომ ეს შეუძლებელი იყოს მანამდე, სანამ ისინი არ გაქრისტიანდებიან. ეს ღრმა შეცომაა. ახლანდელ ღრმა ხალხს აერთობა არა სარწმუნოება, არამედ ცივილიზაცია. წარმატების, პროგრესის საქმეში სარწმუნოებას დღეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. როცა ჩვენ ვამბობთ ცივილიზაციას, სახეში გვაქვს მხოლოთ ქრისტიანი ხალხი. რათა? ვანა სხვა სარწმუნოების ხალხს არ შეუძლია ცივილიზაციის შეთვისება და წინსაგებ? დამტკიცება იმის, რომ მამაღიანები ისეთი ნიჭიერნი არიან, როგორც ქრისტიანები და იმათაც შეუძლიათ თანამედროვე ცივილიზაციის შეთვისება—აი, ახლანდელი ღრმის პრობლემა. ამას ბოსნიის მამაღიანები გვიმტკიცებენო, დაასრულა ბ ნ ჰოროვიჩმა.

ჰანრი მოსკოვი. მე თეთთან მიმოგზავრია ბოსნიაში და ჩემი თვალთ მინახავს, რასაც ბ-ნი ჰოროვიჩი მოგვითხრობს. დიდათ გამაკვირვა ბოსნიის მამაღიანების განეთარება, ისინი უკვე დამღვარან ცივილიზაციის გზაზე და ამ საქმეში დიდი სამსახური მიუძღვის ავსტრიის მთავრობას.

კამელ ზუკო. ორივე მოხსენება, წაკითხული ბ. ხანანაშვილის და ჰოროვიჩის მიერ, ეხება ისლამს და მის მნიშვნელობას ისტორიაში. ერთი და იმავე კითხვის შესახებ ორივეს სხვა-და-სხვა აზრი გამოუთქვით. ბ-ნ ხანანაშვილი ისლამში ხედავს სხვა სარ-

წმუნოების და ხალხისნობის მტერს, საქართველოს და ოსმალეთ შორის ამჟამად ბრძოლის მიზეზს სარწმუნოებაში ეძებს. ბ-ნ ჰოროვიჩი ისლამში თუმცა ხედავს სხვა სარწმუნოების სიძულვილს, მაგრამ ბრძოლის მიზეზს ეძებს არა აქ, არამედ სოციალურ პირობებში. სამწუხაროა რომ ევრაპიელები სჯიან ჩვენი რჯულის შესახებ, ისინი სრულიად არ იციან ნობენ ისლამს. ბ-ნმა ჰოროვიჩმა თქვა, ისლამი აზი-ელიაო, მაგრამ რა ელყოთ? ქრისტიანობაც აზიელი არ არის? ქრისტი ეზიელი არ იყო? რა არის ისლამი? მაჰმადს არაფერი არ გამოუგონია, მან მხოლოდ გამოკრიბა მოძღვრება ღმერთზე ებრაელთა სარწმუნოებისაგან, ზნეობაზე კი ქრისტიანობიდან და შექმნა ერთი—ისლამი, რომლის თვისება არ არის მტრობა და სიძულვილი სხვა სარწმუნოებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში განა შესაძლებელი იყო ისლამის გავრცელება? და თუ გავრცელდა, იმიტომ რომ ეს აკმაყოფილებს სულიერ მოთხოვნილებას ამა თუ იმ ხალხისას. ისლამს ამასთანავე ის უპირატესობა აქვს, რომ მისი შეხედულებით ყველა მარლ-მორწმუნე თანასწორია, არ იცნობს ბატონს და ყმას, ზნაურს და გლეხს. ბ-ნ ჰოროვიჩმა მოიხსენია ისიც, რომ ქრისტიანებს მაჰმადიან სამსჯავროში მოწმეთ არ ღებულობდენ მაჰმადიანთა საქმეშიო...

ჭორბაიში. ახლა კი არ არის ასე, მე ისტორიულ წარსულზე მოგახსენებდი...

კამილ ბეი. მართალია ეს, მაგრამ თვითონ მაჰმადიანებს კი ღებულობენ მოწმეთ ყოველთის? მაგ ერთმა კაცი მოჰკლა, მკვლელის პირადობას ამტკიცებენ ორი ქალი და ერთი კაცი. კანონი არ ღებულობს ამათ ჩვენებს. ხოლო თუ ორმა მამაკაცმა კი განაცხადა: ეს არის კაცის მკვლელოა, საქმარისია, დამნაშავე სიკვდილით ისჯება. ამას თხოულობს კანონი და ხეანთქარსაც არ შეუძლია განაჩენის დარღვევა. ამ ნაირთ, როგორც ხედავთ, სამი სული მაჰმადიანის ჩვენებს არაფრით თვლიან, ორისას კი. ეს იმისთვის რომ სამში ორი დედაკაცია, კანონი კი თხოულობს ორი მამაკაცის მოწმობას. დედა-კაცის

ამ გვარი დამცირება, რასაკვირველია, ნაკლებდენება. მაგრამ საქმე ამაში არ არის. ისლამი არ ცნობს თვით მაჰმადიანის მოწმობას (მაგ. სამი სულია), მაშ რა გასაკვირვებელია, რომ იმავე ისლამს არ ეცნო მოწმეთ სხვა სარწმუნოების კაცი ე. ი. ქრისტიანი.

აქ ბევრმა ერთად დაწყობა დააჩაჩა, ზოგი იძახდა და ყორანში წერია ცეცხლით და ხმლით უნდა იქნას გავრცელებული ისლამიო და სს. ამდროს თავმჯდომარეზე გამოაცხადა: აქ ორიენტალისტების კრება და არა ღვთის-მეტყველებისო და სხდომაც დახურა.

შემდეგ სხდომებზე მოხსენებები წაიკითხეს ლეიბენლევმა, თ. ვიანგსკომ და მეგავარიანმა.

ბენლევმა ილაპარაკა ალბანელთა გვარ-ტომობის შესახებ და ის აზრი გამოთქვა, რომ ალბანელთა კოლხიდელებთან აქეთ კავშირი და ორივე ხალხი ერთსა და იმავე ტომს უნდა ეკუთვნოდნო ეს მოსახრება დაფუძნებული იყო ენის ეტიმოლოგიურ გარჩევაზე და განსაკუთრებით იმ ალბანულ სიტყვებზე, რომელშიც ბოლოდღებთან „ანდა“-თი. ამასთანავე ისიც გამოთქვა, რომ არ არის ისეთი საინტერესო ქვეყანა, როგორც კავკასია და უცნობი და შეუსწავლელია ჯერო. კავკასიის შუაგულ ნაწილში დასახლდნ ალბანელები, იმერლები და კოლხიდელები. პირველ ხალხმა დატოვა თავისი სამშობლო და ჩვენთან იერ მოაღწია. იმერლები არიან დღევანდელი ქართველები. ამათი ისტორია უფრო გარკვეულია, მხოლოდ კოლხიდელებზე კი ბევრი არა ვიცითრა. ჰეროდოტის სიტყვით კოლხიდელები ევებტელების ჩამომავლობა არის. კოლხიდა პირველათ რომის პროვინცია იყო, შემდეგ შედგა თავისუფალ სამეფოთ — ღაზია — ქალაქ ქუთაისით. ამ ქვეყანაში ლაპარაკობდენ (დღესაც ლაპარაკობენ) ქართული ენის დიალექტით, მაგრამ ამ ორ ენათა შორის დიდი განსხვავებაა, იმერლები პომპეის დროს მეურნენი იყვენ და არა მემადიანი.

5. ♣

(დასასრულ. იქ კბა)

მ ა მ ლ ი

(მოთხრობა ევ ნინოშვილისა).

შემდეგი *)

IV

მ ათათი საღამო იყო. ზალიკა ნარინშვილისას დიდ ფაცა-ფუსში იყვენ. მეზობლები, მოკეთები, ვინც კი გაჩნდა, სულ ყველა აქ

იყვენ და დატრიალებდენ სხვა-და-სხვა საქმეზე. ვინ ახალ დაკლულ თხას კაუსავდა და აწყობდა კარდლებში, „სახარჩოეს“ ცალკე და „შშრალ ხორცათ“ მოსახარშავს ცალკე; ვინ ახალ დაკლულ მსუქან ღორს იღებდა ფელიო-ფელიკით და ეუნებოდა მეორად; აგი საჯიქიოა; აგი ზრუგიელი, აგი ფერდი, აგი გვერდი, უნდა მიჩაზროს, აა, კვლევერი და ქაქა—მწვადათ უნდა შეიწვას*. ქალები ბურტყანიდენ დაკლულ ქათმებს, ოთხ ბატს და ორ მამალ ინდოურს. ორი ხანში შესული ქალი აცხობდა ხაჭაპუ-

*) ის. დე. „აკვლია“ № 48.

რებს, რამდენიმე კონკრეტული გამოწვევებით ქალი და კაცი კი ისხდნენ ზალიკაის დიდ სახლში, რომელიც დღეს სასტუმროთა იყო მოწყობილი. აი, რაში გამოინახებოდა ეს სასტუმროთა მოწყობა: აქეთ-იქით ძველ ტახტებზე ეგრა ქილოზის მაგიერათ მუშობდებიდან ნათხოვარი ორი ნოხი და ორი ფარდაგი; ზედა კუთხეში იდგა ერთი გძელი, გულაქაეი მაიდა, რომელსაც ახალ-წყილი იაფ-ფასიანი მიტკალი ჰქონდა გადაფარებული. მაიდაზე ეწყო: ზოგი შინაური და ზოგი მუშობლიდან ნათხოვარი სხვა და-სხვა სიმსხო-სიდიდის და სახის ბოთლები, ორი დიუჟინი ჩაის ჭიქა თავისი ფინჯლებით და ექვსიოდვე საკმაოდ დაჟინიანებული ფრაჟის და ცრენის კოვზი, ექვსიოდვე ლეინის ჭიქა, ორი პატარა იაფ-ფასიანი ლამაზი, ორი თითფერის შანდლი სტეარინის სანაღებით და ორი რიუშკა, ორი ბოთლი ხილის არაყით იყო საესე. დანარჩენი კი — ადგილობრივი წითელი და თეთრი ლეინით. რაც შეეხება სახლს, ეს იყო გძელი და განიერი ფერკული ძველი შენობა, ისლით დახურული, მიწის იატაკით და წინ მიშენებული დერეფნით. შუა ადგილას სახლში იდგა დიდი ქვის ცერა, რომლის ზეგით სხვა დროს ეკიდა გამჭვარტლული ჯაჭვი, მაგრამ დღეს კი ჩამოეღოთ. საჭმელების საშადათ გაეკეთებიათ ერთა დიდი კიხი, თუმცა კი სხვა დროს ზალიკაის მეუღლე თავისი ქმარ-შვილისთვის იმ სახლში აკეთებდა საჭმელს, რომელიც დღეს სასტუმროთა იყო მორთული. მოხუც ზალიკაი მხიარული და თან მზრუნველის სახით გადადიოდა ერთ საქმიდან მეორეზე, უნდოდა ყოველგან ხელი წაეყრა და მიხარებოდა, ყველას მადლობას ეუბნებოდა „მარჯვეთ გარჯისთვის“. ზალიკაის მეუღლე, სუხანაი, და რამდენიმე ქალი, სადაც ერთა ჩენი ნაცნობი ქალიჯანიც. უკან სახლზე მოლობლი ფაცხაში — „საფარეშოში“ კაზმედენ ახალი ტანისამოსით ღაზას.

ყველა ამ ფაცაჟურს და მზადების მიზეზი გახლდათ ისა, რომ იმ ღამეს უნდა მოსულიყო ზალიკაის ოჯახში სიძეთ ჯერან ტყერიძე; უნდა დაენიშნა საცოლოთ ზალიკაის უფროსი ქალი, ლიზა. ამისთვის მოეწვია მოხუც ზალიკას თავისი მოკეთებები და მუშობლები, ამისთვის აწაადებდა პურ-ლეინოს, რომელიც კაი მიმე ფასათ დაუჯდა ღარიბ გლეხს ზალიკას.

კარგა მოსალამოედა. ყოველივე საშადისი მზათ იყო. ახლა სტუმარს, თუ მასპინძელს, ყველას თვალი ქისკრისკენ ეჭირათ. მაგრამ სიძე ჯერ არსათ ჩანდა. ამ გარემოებას ყველა დააღონა. მართლა, რაღა უნდა ექნათ, რომ სასიძო არ მოსულიყო! ხომ ტყუილათ გაიარა ამოდენა მზადება და ხარჯი!

— ქალიჯან, რაფერ არის საქმე, თუ ციკა, რენიზა დააგვიანდა იმ კაცს? ჩემმა მტერმა და მოყვარემ, ყველამ შეიტყო ავი ამბავი, ჩემი მუშობლები და მოკეთე, ყველაი ეაწეე და ახლა რომ გამაბახოს, უთოფოთ ვერ გადამარჩება. — უთხრა ზალიკა ქალიჯანს.

— ჯერანს შენც კარკათ იცნობ, რა პირის ბიქია. რომ იტყვის, მეერ სიტყვას აღარ გატყხს. მე და დედამისს, ორივეს სიტყვა მოგვეცა. ახლა რაფა გვილატყხს! ამედებდა ქალიჯან.

— აი, საქმე რომ ახლა დიუფუშოს, ციკაი მომიტება — გეგანათია, თქვა სუსანამ.

— ამ სიძერის დღეს არ ამძაღლოს, თვარა... ზალიკას კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ამ დროს ვილაკამ დაიძაა „მოვიდენო და ზალიკაც გამოეარდა გარეთ. გზაში ჩამოვიდენ ცხენებით დაწყობილ დაკაზმულნი ჯერან და ექვსი მისი მხლებელი, ყველა სიხარულით ცხენება ახალ-მოსულეებს, საჩქაროთ ჩამოართვეს სიხენი და სიძე და მისი მხლებელი მიწეყრა სახლში.

ჯერანმა ვახებ-გამოხედა ზალიკაის მიდამოს, სადაც ძველ სახლს, ძველ ბელელს, ძველ „ნალიას“ და პატარა შენობების საძროხეს და მისთანებს გარდა, არ მოიპოებოდა არავითარი შენობა. „ავი ნამეტარი ფუხარაი“) ყოფილა, ასე თუ იყო, მგონებოდა, არ ჩამოვიდელი აქნაი სამოყვართო, გაურბინა ჯერანს ფურქებში. როცა სიხენევე მოატანა, აანთეს ღამპარები. სტუმრები ჩამომწყრიდენ აქეთ-იქით ტახტებზე. არ გაუფლია ამას შემდეგ რამდენისამე წამს, რომ გაილა ქვედა კარი, ჯერ შემოვიდა ქალიჯან, მეერ საპატარძლო ლიზა, მასთან ლიზას დედა, სუსანაი და რამდენიმე ქალი, — ზოგი მოხუცა და ზოგი ემპეილი. ჯერან და მისი მხლებელი წამოდენ ფენებ. ქალიჯანმა მიიყვანა ამათთან ქალები სალამისათვის. ჯერანმა, სალამის დროს ხელს რომ ართმედა ქალებს, შენიშნა, რომ ერთი თეთრ ტანისამოსიანი შავგერემანი ქალი სხეებზე უფრო მორცხებოდა. ამ ქალის შავგერემანი სახე და მორცხება არ ესამოენა ჯერანს და გაიფიქრა: „ხომ არ გუფუყლა ღმერთი, ავი ხომ არ არისო“. ჯერანი ვერ იცნობდა თავის საცოლოს. ის მხოლოდ დაჯერდა დღის სიტყვებს „ძალიან ქალი არის“ და წამოიღო სანიშნოთ ქარგა და ბეჭელი. დღეს გარდა, ჯერანის დამ, ელისაბედაც ნანა ლიზა და ისიც ეუბნებოდა მას „კაი ქალიაო“.

მართალია, ელისაბედს, მანცა და მანც არ მოწონდა ლიზას თვალ-ტანადობა, ის უკეთეს ქალს

*) ფუსარაი — დატკეი.

ეძებდა მძისთვის, იმისთანას, რომ „სახტარზე მისი ჩძლისთანა ქალი მეორე არ გამოუსულიყო“. მაგრამ მკითხავენის სიტყვებით ლიზა იყო ჯერანის ბელზე დაბადებული, ასე ვასწავთ, მესამე მკითხვემა, მე-ბანქაშევი პირველი ორი მკითხავენის სიტყვებს მიემოწმა. მებანქაშევი მკითხავენა ისიც დაუმატა: „იმ ქალის (ლიზას) მამას ფული ქონებია შენახული, ჯერ არ აჩენს. იგი ფულიც ჯერანის ლუქმააო. ამას შემდეგ, აბა, როგორ არ უჩრჩედა ცრუმორწმუნე ელისაშვილ თავის ძმას, ლიზა შეირთო. ჯერანის მხლებლებშიცა, გარდა ერთისა, ვერც ერთი ვერ იცნობდა ჯერანის საცალოს. როცა ქალები დასხდნენ, ქალიჯან მიუბრუნდა თავის ძმისწულს და თავისებური სადა კილოთი ჰკითხა:

— იცი, ბიჭო, რომელია შენი?

— რა ვიცი მე, რომელია, უპასუხა ჯერანმა.

— ეე, თეთრი რომ აცვია, იგია, აჩენდა ქალიჯანმა იმ ქალზე, რომლის შესახებაც იმ ორი-სამი წამის წინეთ ჯერან ფიქრობდა: „არ გაუწყყდეს ღმერთი, იგი არ იყოსო“.

ჯერანს სახეზე შეიფერო გადაეკრა და წარბები მის უნებურათ ჩამოეხარა ძირს: „ყველამ მე რეიზა მილალატა, მაშიდამ, დედამ, დამ რას მემართლებოდენ!“ გაიფიქრა ჯერანმა, მაგრამ ენის თქმას კი ვერ ახერხებდა.

— რაა, ბიჭო? არ დაჯდა? ჩურჩულით ჰკითხა ქალიჯანმა.

— რას მერჩოდ, მაშიდაე, რომ ჩეიქციე ჩემი სისხლი! ძლივს ვასაგონათ ჩაუღაპარაკა ჯერანმა ქალიჯანს.

— რას ჩივი, ბიჭო, შენ კარქა არ შეგხედავს, თვარა ძალიანი ქალია! კი რომ არ იყოს, მე კი, თუ გინდა, მარა დედა და დი რაე გილალატებდა! ყველას მოწონს შენსგამეტს. ხმადაბლა უპასუხა ქალიჯანმა.

ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა ჯერანის მხლებლებმაც, რომლებში ზოგი ახლო ნათესაეი იყო ჯერანის, ზოგი მეგობარი და ზოგი კარგე მეზობელი და ფურჩუნით კითხულობდნენ— „რომელიაო“. ქალიჯანმა ამითაც დაანახა ლიზა და ახლა იმათაც დაუწევს ლიზას ჰქერტა. ჰქერტის დროს ზოგი წარბებს ხრიდა, ზოგი ერთმანეთში რაღაცას ფურჩუნებდა. უნდა ეთქვათ, რომ თეთრ ტანსაცმელში ლიზა არ ჩანდა ლამაზ ქალათ, ამასთან ლიზა ბუნებითაც მორცხეი იყო და როცა შეამჩნია ძალზე მიჰქერტენო, სულ მთლათ მიობუხა. იჯდა თავ-დაღუწული, წარბებ დახრილი, სახე მოღრუბლული და თავს ვერ იღებდა. ერთმა მისმა ახლო ნათესაემ გაიხმო ცალკე ჯერან და ჰკითხა:— მოგწონს ქალი?

— ყველამ მილალატა, ყველამ! უპასუხა გულმოკლულად ჯერანმა.

— რაე ექნათ ახლა?

— რალა უნდა ექნა! სხაპში ვარ გაბმული და რალა უნდა ექნა! ცხენები რომ ხელში გვეყვდეს, კიდევ რამეს ვიფიქრებდი, თუნდა მოეკალი. ახლა რალა!

— სადაა, თუ იცი, ჩენი ცხენება?

— რა ვიცი სადა! რალამც იგი ქონდენ გულში, ცხენებსაც ქე დამაოედენ. ახლა რა მიწაში ჩეიდე! დეტოა აქნა შეიღ ცხენი და წეიდე? მეჩე მე რაე შემძლია ვაღუფხავა პატრონებს, ჩემი ოჯახი არ უფთავდება! არა და რაი! მილალატეს, გამაბეს სხაპში და აგია! რალა ექნა ახლა, თავი მე-ვიკლა, თუ რალა ექნა!

— მეიკი, ბიჭებსაც ვკითხოთ, ჯერანის ნათესაემა გამოიხმო ვართ თავისი აზნანავები. დასხდნენ ერთ ხის ძირში და დაიწყეს თათბარი. მაგრამ ყველა მათგანი სხვადა სხვა აზრისანი იყენ იმის შესახებ, რაც ისე დაღუფდა ჯერანს. ზოგი ამბობდა: „მართალია, ბზის უნააეი არაა, მარა არც თლათ დასაწუნარია. კაცის ოჯახში ჩამოესულეგართ, ახლა ასე წრიბი აღარ დეიკერის... ავი რომ ექნათ, უთო-ფოთ არ გავეიშობენო“. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ ჯერანის შესაფერი ქალი არ არის და მისი მხლებლებისთვის სირცხელი იქნება იმაზე რომ დაინთმისო. ზოგი აჩრედა— „ცხენებში მოვიტოვოთ. თუ მოვეცეს, იგია, თუ არა, ჩვენ მაინც წეიდეოთ და ცხენებს მეჩე საჩივრით ამოვიგებთო“. უკანასკნელ ყველა ამ დასკენამდე მიეიდა: წასვლა რომ ვიფიქროთ, არცერთს ცოცხალს არ გავეიშობენ ზალიკი და მისი სახლი-კაცებიო. სცადეს, გაუგზავნეს ზალიკას მოციქული და შეუთვალეს— სასიძოს ქალი არ მოწონს და ნაძალადეგათ შერთული მადლიანი საქმე არ იქნებაო.

— გაბახება ზღამებია ჩემი ოჯახის! ჩემმა მტერ-მოყვარემ ყველამ შეიტყო ავი ამბავი, თუ სადმე მოკეთე მყავდა, ყველაი ვაწეი და ახლა ამას მიჩიე! ჩემი ოჯახის შერცხვენას ნუ შეინდომებს, თვარა დღეს მეც ვაფთავდები და იგიც ვაფთავდება! მოყვარეთ მოსულა, ჩვენც მოყვრათ დაეხეთები და თუ სამტროთ მოვიდა, ჩვენც ვიციტ მტრის დახედრა, უპასუხა მოციქულს ზალიკამ.

მართალია, ზალიკა არ იყო ისეთი პირი, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და თუ შემთხვევამ საქმე მოუმარჯვა, სამართლიანობას აღარ დაგიდევს. არა, რაც გაეგებოდა, ზალიკი სამართლიანობის მოყვარე კაცი იყო, რჯული და სინილის დიდათ წამდა. მაგრამ ნათქვამია, ჩეულება რჯუ-

ლზე უმტკიცესიაო, მას თავის დღეში ასე ენახა და გაეგონა: მშობლები მოანახვენ ეპიშვილისთვის საცოლოს და ქალიშვილისთვის — საქმროს და გააწყობენ საქმეს ისე, რომ ხშირათ ჯვარის-წერამდე ევრც კი გაიგებენ იმას საქმრო-საცოლო, მართალია, ხანდახან მოხდება კი, რომ საქმრო და საცოლო თითონ არჩევენ ერთმანეთს, მაგრამ ეს იშვიათი მოუღონა და ხშირათ ასეთი არჩევა, თუ საქმრო-საცოლოს მშობლებს არ მოეწონათ, ევრც კი მიაწევენ მიზანს. ზალიკას ქალი ნახეს ჯვარანის დედამ და დამ, საქმე გააწყვეს და ახლა ჯვარანი უნარს ამობდა! ჯვარანს ლიზა დაწუნებით დაეტოვებია, ზალიკას ოჯახი ხომ შერტყენილი დარჩებოდა მისი მშობლების თვალში! ამ შემთხვევაში კი სამართლიანათ მიაჩნდა ზალიკას ძალის მოხმარება.

მოციქულმა მიუტანა ზალიკას სიტყვებუ ჯვარანს. რალა უნდა ექნათ! ცოცხალ-მკვდარი ჯვარანთითქმის ხელით შეიტანეს სახლში მისმა მსლებლებმა. გააწყვეს სუფრა. როცა თითო ჭიქა ღვინო დაილოცეს, ჯვარანის ნათესავმა კაცმა გადასცა ქალიჯანს ჯვარანის ძაგიერ ქალის სანიშნოთ ქარის კირიალესონი და პატარა, ხუთ-მანეთიანი ოქროს ბეჭედი, ფირუზის თვლიანი. ქალიჯანმა კირიალესონი კისერზე ვადაცვა ლიზას და ბეჭედი თითზე წამოუფრა. ლიზას ისე შერტყვა ამ დროს, რომ ქვესკნელში ჩაეარდნილიყო, გული არ უშლიდა, გაჩნდა ღვინის სმა, ზალიკას სტუმრები თანდათან მხიარულებაში შედიოდნენ. მხოლოთ ჯვარან იყო მოწყენილი. რაც შეეხება ლიზას, თუმცალა მისთვის არავის უთქვამს „ვიწუნებენო“, მაგრამ მან ინსტიტუტრათ იგრძნო საქმრო მწუნობსო და ცოცხლათ მოკლა ამ იტემა. მართალია, თავის მხრივ ლიზასაც არ მოეწონა საქმრო, რალც უშუბო კაცით ეჩვენა; მაგრამ ამის თქმას როგორღა ვამბედვად ლიზა ან თავისიანთან და ანსხვასთან! თქმა კია რა და, ისე იჯდა გაქაეგებულა, რომ ერთვლაც ზეით არ აუხედნია. ლიზას სიახლოვეს იჯდა ორი ყმაწვილი ქალი, — ერთი ქერა და მეორე რძედღვინისფერი. ეს ქალები ისეთი ლამაზები იყენ, რომ, მაგონია, შეენიერი თამარ მეფე და ეგვიპტის დედოფალი, კლეოპატრა, ამათზე ლამაზი არ იქნებოდნენ. ამ ქალების სილამაზემ მიანც სულ დაჩრდილა ლიზა. ჯვარან ისეთის

თვლით შეხედვად ჯერ ამ ლამაზ ქალებს და მეორე ლიზას, თითქო ერთ მხარეს სამოთხეა, მეორე მხარეს ჯოჯობითი და ჯვარანს ეს უკანასკნელი რგებიაო, შექვიჟიანებულმა სტუმრებმა თითქმის ძალით მიიყენეს ჯვარან და დასვეს ლიზას პირდაპირ სუფრაზე. მერე დაუყენეს და სადღევრძელო დააღვივეს ერთს მეორესი. მაგრამ ყოველივე ამას ისეთი ნაძალადობა ეტყობოდა, თითქო ორი მოწოდურაყად აღმანი მიუყენათ ერთმანეთთან შესარაგებლათ, მაგრამ ეს რადებდიაო, რაცა ერთმანეთის სადღევრძელოს სვამდენ, არც ჯვარანს და არც ლიზას ხმა არ ამოუღია, ისე მხოლოთ ჯვარანმა ნახევაი ჭიქა დასცალა და ლიზამ კი პარით შეეხო ჭიქას, ღვინო არც კი ჩაუშვია პირში.

მეორე დღეს სხვა სტუმრებთან ერთათ ჯვარანმა გიღმორია სახლიდან და გაუღდა თავის შინისკენ. მულაპარაკება სძე და სიმამრს შორის არავითარი არ ყოფილა, იმას გარდა, რომ ზალიკამ უთხრა ჯვარანს:

- ჩემო სძევე, წაყუარის ვადა დამაღვეი.
- ჯერ ვერ ვეტყვი ნამღვილს, ავერ შინ მივალ, მევიფიქრებ და შევატყობებ უნასუხა ჯვარანსმა.

(შემდეგი იქნება)

წიგნაკტორ. გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განხილვა

დაგზღვნი საზოგადოება

იპკოტკი (ღუსე)

უძღვლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, ვარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მიიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა უზნამ აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაივისა და უძარვის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზეითმდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსლების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისთვის, და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სარეზო, თუ არა თვით საზოგადოების ავერტის აღქსანდრე პეტრეს ძის ზაფრიევისაგან, რომელიც დაგველიამინოვის ქუჩაზე № 2.